პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 45 (12253) | ხუთშაბათი, 22 თებერვალი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ლ. მარტინენკო, სოფელ ჩხოროწყუს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. კბილაშილავა, ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშის კოლმეურნეობის მევეხეებრიგადირი გ. ხმელიძე, ცნობილი მეჩაიე ლ. მალულარია, (მახარაძის რაიონი), წალკის რაიონის ლივადის კოლმეურნეობის მწველავი ფ. დურახოვა, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. უტიაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ახალი ამბები

მის აღმატებულებას ამერიკის მეორეთაული ფეტატების პრეზიდენტს ბატონ ჯონ ფ. კენედის

ვაშინგტონი.

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო! საბჭოთა კავშირის ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ თქვენ და ამერიკელ ხალხს იმის გამო, რომ წარმატებით გაუშვეთ კოსმოსური ხომალდი ადამიანითურთ.

გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი კოსმოსის ათვისებაში, და კოსმონავტთა ოჯახს ამერიკად შეემატა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე პოდპოლკოვნიკი ჯონ გლენი.

კოსმოსური ხომალდების წარმატებით გაშვება, რაც მოასწავებს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მწვერვალების დაპყრობას, გვინერგავს კანონიერი სიამაყის გრძნობას იმის გამო, რომ უსაზღვროა ადამიანის გონების შესაძლებლობანი ადამიანთა საკეთილდღეოდ.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ ადამიანის გენია, რომელიც სამყაროს სიღრმეს ჩასწვდა, შეძლებს გამონახოს მტკიცე მშვიდობის გზა და უზრუნველყოს ყველა ხალხის აყვავება ჩვენს პლანეტაზე — დედამიწაზე, რომელიც კოსმოსის საუკუნეში, თუმცა ალარ გვეჩვენება ესოდენ დიდი, მაგრამ კვლავ ძვირფასია ყველა მისი მკვიდრისათვის.

ჩვენმა ქვეყნებმა რომ გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი — მეცნიერული, ტექნიკური და მატერიალური კოსმოსის ასათვისებლად, ეს მეტად სასარგებლო იქნება მეცნიერების განვითარებისათვის და სიხარულით შეხვდება ყველა ხალხი, რომელებსაც სურთ, რომ მეცნიერული მიღწევები ხმარდებოდეს ადამიანის კეთილდღეობას, და არ იყენებდნენ მათ „ცივი ომისა“ და გამალებული შეიარაღების მიზნით.

გთხოვთ გულითადად მიიღოცოთ და საუკეთესო სურვილები გადასცეთ კოსმონავტ მფრინავს ჯონ გლენს.

ნ. ხრუშჩოვი.

1962 წლის 21 თებერვალი.

ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშა

კ. ადენაუერისადმი

მოსკოვი, 21 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დეპეშა გაუგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს დოქტორ კონრად ადენაუერს. დეპეშაში საბჭოთა ხალხისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობას ადამიანთა დიდი მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის გამო, რომელიც გამოიწვია სტიქიურმა უბედურებამ ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე.

სკკპ დელეგაცია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩავიდა

ჰანოი, 21 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით.

ი. გაგარინი და გ. ტიტოვი მიესალმებიან ამერიკელ კოსმონავტს

საბჭოთა კოსმონავტმა-მფრინავებმა მაიორმა იური გაგარინმა და მაიორმა გერმანე ტიტოვმა პოდპოლკოვნიკ ჯონ გლენს ვაშინგტონში გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავენ დედამიწის გარშემო კოსმოსური ფრენის წარმატებით დამთავრებას. (საკდესი).

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ავამოქმედოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების რეზერვები

ახლოვდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდი. წლევანდელი გაზაფხული განსაკუთრებულია — პირველია სკკპ ისტორიული XXII ყრილობის შემდეგ, როცა სოფლის მშრომელები იწყებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის ამოცანის პრაქტიკულად გადაჭრას. თავიანთი მოვალეობის, სოფლის მეურნეობის ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით შეიკრიბნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ადამიანები რესპუბლიკურ თათბირზე, რათა შეეჯამებინათ გასული წლის შედეგები, მოეთათბირნათ როგორ შეასრულონ უფრო წარმატებით შვიდწლედის მეოთხე წლის დავალებანი. სამშობლოს სადიდებლად ახალი საქმეებისათვის აღაფრთოვანებს მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი, რომელიც განიხილავს პარტიის ამოცანებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში და უდიდესი მნიშვნელობა ექნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

ამ დარბაზში, ამბობს ამხ. გ. დ. ჯავახიშვილი, პირველად როდი იკრიბებიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. მაგრამ გადაუპარბებელად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი თათბირი მიმდინარეობს განსაკუთრებით ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი, სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული, უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი გულმოდგინედ ემზადებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის, რომელიც განიხილავს პარტიის ამოცანებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში.

ჩვენში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა, როცა ყოველწლიურად სოფლის მეურნეობის მშრომელებთან ერთად ფართოდ განვიხილავთ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგებს. ერთმანეთს ვუზიარებთ აზრებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დღეევანდელ თათბირზე უნდა აღვნიშნოთ, რაც კარგი გაკეთდა გასულ წელს და ვამხილოთ ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი და უზრუნველვყოთ 1962 წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ძლაური აღმავლობა.

გასული სამეურნეო წელი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთელ რიგ დარგებში კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. სახელმწიფოს მიეყიდა: ჩაი — 154.5 ათასი ტონა, ანუ გეგმის 103 პროცენტი, ხილი — 104,3 ათასი ტონა, ანუ 122.7 პროცენტი, ციტრუსები — 38.7 ათასი ტონა, ანუ 129 პროცენტი, დაფნის ფოთოლი— 1.251 ტონა, ანუ 131.7 პროცენტი. მაგრამ ამასთან ზარნან მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების — მარცვლის, ხორცის, რძის, კვერცხის, აბრეშუმის პარკის, ბოსტნეულის, კარტოფილის შაქრის ჭარხლის, ყურძნის, თამბაქოს სახელმწიფო შესყიდვის გეგმები არ შესრულებულა, რაც დიდი ნაკლია ჩვენს მუშაობაში.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო 1961 წლის შედეგებს სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში.

რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, სოფლის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს შვიდწლიანი გეგმით მეჩიეიობის დარგში დასახული ამოცანების შესასრულებლად. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბალნტაციების მოვლა-დამუშავება.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა წარმატებით შეასრულეს ქობულეთის, ბათუმის, მახარაძის, გუდაუთის, ტყიბულის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გალის, ხობის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 4.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ბათუმის რაიონის მეჩაიეებმა მიიღეს 4.200 კილოგრამი, მახარაძის რაიონისამ — 3.950 კილოგრამი, გუდაუთის რაიონისამ — 4.480 კილოგრამი.

კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა და რგოლებმა. ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობამ 176.7 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 6.756 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამავე რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობამ 123.8 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე — 5.792 კილოგრამი ფოთოლი. ჩაის ფოთლის უმაგალითოდ უხვი მოსავალი მიიღეს მახარაძის რაიონის კოლმეურნეობაში „აზა კომუნიზმისაკენ“, გუდაუთის რაიონის სოფელ ფურიფშის, ზუგდიდის რაიონის, სოფელ რუხის კოლმეურნეობებში, ოჩხამურისა და ინგირის საბჭოთა მეურნეობებში. ჩვენში ცოტა როდია ბრიგადა და რგოლი, რომლებმაც საშუალოდ ჰექტარზე 8-10 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

მეჩაიეობაში წარმატებანი გაცილებით მეტი გვექნებოდა, ყველა რაიონს, კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა და ბრიგადას უფრო კარგად რომ ემუშავნა. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია მეურნეობანი, სადაც სათანადოდ არ უვლიან ჩაის პლანტაციებს. ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ მთელ ჩაის პლანტაციაში უხვი მოსავლის მიღებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მხოლოდ იმ ნაკვეთებს, რომლებიც გამოყოფილი აქვთ რეკორდული მოსავლის მისაღებად. ეს უსაფუძვლო მავნე პრაქტიკაა, რის შედეგადაც მოუვლელი რჩება ახალგაზრდა და სუსტი პლანტაციები. შარშან ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა ვერ შეასრულეს ოჩამჩირის, ბეგეჯკორისა და ლანჩხუთის რაიონებმა, მოქვისა და გაჯვეთის საბჭოთა მეურნეობებმა და 105 კოლმეურნეობამ. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ოფოლის მოსავლიანობა მეტად მცირეა. მაგალითად, წყალტუბოს რაიონმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 1.633 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ცხაკაის რაიონმა, — 2.240, ოჩამჩირისამ — 2.314 კილოგრამი, მაშინ როცა რესპუბლიკაში საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 3.100 კილოგრამს მიაღწია.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ მეურნეობას დაახლოებით ერთნაირ პირობებში განსხვავებული მოსავალი მოჰყავს. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ 1961 წელს 80 ჰექტარი პლანტაციის საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფა 3.458 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ამავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ კი 50 ჰექტარი პლანტაციის საშუალოდ ჰექტარზე.— 2.492 კილოგრამი. ასეთი მაგალითები ცოტა როდია.

ჩაის ფოთლის მცირე მოსავლიანობა გამოწვეულია იმით, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პლანტაციების მოვლას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ყველა პლანტაციაში არ ხორციელდება აგროტექნიკური ღონისძიებათა კომპლექსი ან სრულდება უხარისხოდ და აგროტექნიკური ვადების დარღვევით.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების უდიდესი რეზერვები დღემდე გამოუყენებელია.

მომდინარე წელს დიდი ამოცანებია დასახული მეჩაიეობის რაიონების მშრომელთა წინაშე. გეგმით მათ უნდა მოკრიფონ 155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეჩაიეები იკისრებენ გადიდებულ ვალდებულებას, მოკრიფენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან სულ ცოტა 160 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

გასულ წლებში მეჩაიეობის რაიონებს დიდი დახმარება გაუწია საქართველოს კომკავშირმა, რომელმაც მოაწყო ახალგაზრდობის მასობრივი ლაშქრობა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. დარწმუნებულები ვართ, რომ საქართველოს ლენინური კომკავშირი კვლავ სათავეში ჩაუდგება ახალგაზრდობას და წელსაც კიდევ უფრო მეტ წილილს შეიტანს ჩაის ფოთლის წარმოების გადიდების საქმეში.

1962 წლის ჩაის ფოთლის კრეფისა და დამზადების ბედი ახლა წყდება. საჭიროა სრულად და დროზე ვაწარმოოთ ბუჩქების გასხვლა, სასუქების შეტანა, მწკრივთაშორისების დამუშავება, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოები და სხვა სასწრაფო საქმეები. მაისი, როგორც ცნობილია, გადამწყვეტი თვეა ფოთლის კრეფაში. მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მაისში მოიკრიფოს წლიური გეგმის სულ ცოტა 30 პროცენტი. იმედია, რომ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები წელსაც არ უღალატებენ თავიანთ ტრადიციას. და შემოდგომაზე სიამაყით უპატაკებენ პარტიას ამ საპატიო დავალების შესრულებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი და ქართველი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობის წყაროა მევეხეობა. საქართველო სამართლიანად ითვლება ვაზის ჯიშების წარმოშობის უძველეს კერად და კულტურული მევეხეობისა და მეღვინეობის სამშობლოდ.

გასული წლის ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, მთელმა რიგმა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს ვენახების მოვლა-დამუშავება და უხვი მოსავალი მოიყვანეს. თელავისა და ახმეტის რაიონებმა საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერამდე ყურძენი მიიღეს, ხოლო გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის, თელავის რაიონის სოფელ კურდღლაურის კოლმეურნეობებმა, საჩხერის მევეხეობის საცდელ-საჩვენებელმა საბჭოთა მეურნეობამ, ალგეთის, ყვარლისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე 70-80 ცენტნერი და მეტი ყურძენი მოიყვანეს. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებს. მაგრამ ასეთი მოწინავე რაიონები და მეურნეობები რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცოტაა.

მევეხეობის ძირითად რაიონებში, როგორიც არიან ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ვანის, ცაგერისა და სხვა რაიონები, მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შესამჩნევად გააუარესეს ვენახების მოვლა-დამუშავება, რის შედეგადაც 1961 წელს ყურძნის დამზადების გეგმა 94,4 პროცენტით შესრულდა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 ათასი ტონისა დამზადებულ იქნა 141.646 ტონა ყურძენი.

დიდად ცდებიან ის ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ყურძნის დამზადების გეგმის შეუსრულებლობას ამინდის არახელსაყრელი პირობებით ამართლებენ. საქმე ის არის, რომ ამ რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უხეშად არღვევენ აგროტექნიკურ წესებს, უხარისხოდ და დიდი დაგვიანებით აწარმოებენ გასხვლას, მწვანე ოპერაციებს, დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას, ნიადაგის დამუშავებას. ასეთ პირობებში ვაზი სუსტდება, და მასზე ადვილად ახდენს გავლენას როგორც ამინდის ცვლილებები, ისე დაავადებებიც.

ამხ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა საკუთარი ვენახების მქონე მევეხეები სახელმწიფოს აბარებენ გაცილებით ნაკლებ ყურძენს, ვიდრე აწარმოებენ. სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 1961 წელს მოსახლეობამ საქართველოში მოკრიფა 222 ათასი ტონა ყურძენი, ხოლო სახელმწიფოს მიჰყიდა 61 ათასი ტონა. ეს იმით აიხსნება, რომ ცუდად არის ორგანიზებული მოსახლეობისაგან ყურძნის და ამასთან ზოგიერთი სხვა პროდუქტების შესყიდვა.

იმის გამო, რომ შარშან არ სრულდებოდა ყურძნის დამზადების გეგმა, ჩვენ დავუშვით ღვინის შესყიდვა. ამით ისარგებლეს ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა პირებმა, რომლებიც ღვინის ფალსიფიკაციას ეწევიან. 1962 წლიდან ყურძნის სახელმწიფო შესყიდვისას აიკრძალება ყურძნის მაგიერ ღვინის შესყიდვა.

ყურძნის დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია აგრეთვე დიდი სიმეჩხრე. საქართველოს მეტ წილ რაიონებში ვენახების სიმეჩხრე 20 პროცენტს აღემატება. თელავის რაიონის სოფელ კოხოლოს კოლმეურნეობაში 284 ჰექტარი ვენახის სიმეჩხრე 36 პროცენტს შეადგენს, რაც ფართობზე გადაანგარიშებით 100 ჰექტარს აღემატება. გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობაში ვენახების სიმეჩხრე 37 პროცენტს აღწევს, წინანდლისა და ვარციხის საბჭოთა მეურნეობებში— 33 პროცენტს, მუკუზნისა და შრომის საბჭოთა მეურნეობებში — 26 პროცენტს, ყარდანახის საბჭოთა მეურნეობაში —22 პროცენტს. სიმეჩხრე მხოლოდ 20 პროცენტი რომ ვივარაუდოთ, იგი ჩვენი ვენახების მეხუთედს, ანუ 16,5 ათას ჰექტარზე მეტს უდრის. ამ უზარმაზარ ფართობს ჩვენ ყოველწლიურად ვამუშავებთ, მაგრამ იქიდან ვერაფერს ვერ ვიღებთ. სიმეჩხრე ძირითადად გამოწვეულია დამყნილი ნერგების დაბალი ხარისხით და ახალგაზრდა ნარგავთა ცუდი დამუშავებით. ამას რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო. უფრო მეტიც, დიდი სიმეჩხრის გამო ზოგიერთ კოლმეურნეობაში ხელი აიღეს ნარგავების მოვლაზე, რის შედეგადაც ვენახების საკმაოდ დიდი ნაწილი დაიღუპა. ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში დაიღუპა 687 ჰექტარი ვენახები, მაიაკოვსკის რაიონში — 247, ყვარლისაში — 128. მცხეთის რაიონში — 114 ჰექტარი.

მევეხეობის მთელ რიგ რაიონებში არ სრულდება ვენახის გაშენების გეგმები. ზოგიერთ რაიონში, მიუხედავად საეკონომიო მითითებისა, ვენახების გაშენებას აწარმოებენ საკუთარ ძირზე, რაც სრულიად შეუწყნარებელია.

შარშან გეგმით უნდა გაშენებულიყო 6.284 ჰექტარი ვენახები, ფაქტიურად გაშენდა მხოლოდ 3.152 ჰექტარი, ანუ გეგმის 50,2 პროცენტი. აქედან კოლმეურნეობებმა ვენახების გაფართოების გეგმა შეასრულეს 38,7 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებმა — 77,6 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩენენ ყვარლის, ბოლნისის, ვანის, გორის, გურჯაანისა და ზესტაფონის რაიონები.

ვენახების გაშენების დროს ყურადღება არ ექცევა ვაზის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. უმრავლეს რაიონებში უხეშად ირღვევა ჯიშების შეფარდება ახალ ვენახებში. ამჟამად საქართველოს ვენახების მთელი ფართობის ნახევარზე მეტი უჭირავს რქაწითელსა და ცოლიკაურს, ხოლო ისეთ ძვირფას ჯიშებს, როგორიც არის საფერავი, მწვანე, ხიხვი, კრახუნა, ალექსანდრიული, ოჯალეში, უსახელაური, ჩხავერი, ან სრულებით არ რგავენ ან უმნიშვნელო ფართობებზე აშენებენ.

მევეხეობის განვითარების საფუძველია სადედე და სანერგე მეურნეობის კარგი ორგანიზაცია. რესპუბლიკაში 1.465 ჰექტარი სადედეებია. აქედან 900 ჰექტარი — კოლმეურნეობებში.

იმ მეურნეობებში, სადაც სადედეებსა და სანერგეებს სანიმუშოდ უვლიან, პირველხარისხოვანი ნერგისა და ნამყნების დიდ გამოსავლიანობას აღწევენ. თელავის რაიონის სოფლების აკურის, ზალუარის, სანორის, გურჯაანის რაიონის სოფლების ვაზისუბნისა და ველისციხის კოლმეურნეობებში და საჩხერის, კისისხევის, ახმეტის, ყვარლისა და ვარდისუბნის საბჭოთა მეურნეობები საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 40-45 ათას სტანდარტულ სანერგე ვაზის ლერწს და 45-50 პროცენტამდე ნამყენს. მაგრამ უმრავლეს მეურნეობებში ლერწის მოსავალი ჰექტარზე 15-18 ათას ცალს არ აღემატება, ხოლო პირველხარისხოვანი ნამყენის გამოსავლიანობა — 20-25 პროცენტს. ეს იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საძირე და ნამყენი ვაზის გამოყვანის საქმეს. სადედეების მეტი ნაწილი მოუვლელია.

მომდინარე წელს რესპუბლიკაში უნდა გავაშენოთ 9.000 ჰექტარი ახალი ვენახები, რასაც სულ ცოტა 36 მილიონი ნერგი დასჭირდება. რაიონებმა ახლავე უნდა განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რომ მთელი არსებული საძირე მასალა მაქსიმალურად გამოიყენონ მყნობისათვის და მიიღონ სულ ცოტა 40 პროცენტი პირველხარისხოვანი ნამყენი. ამასთან საჭიროა გაფართოონ სადედეები და გაუმჯობესონ მათი მოვლა-დამუშავება.

მომდინარე წლის სექტემბერში ქალაქ თბილისში მოწვეულია მსოფლიო კონგრესი მევეხეობისა და მეღვინეობის საკითხებზე. ეს შემთხვევითი როდია. საქართველო მუდამ იყარობდა მთელი მსოფლიოს მევეხეებისა და მეღვინეების ყურადღებას ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით, ადგილობრივი ვაზის ჯიშების სიმდიდრით, ღვინის სხვადასხვა ტიპის თავისებურებებით და მაღალი ღირსებით. ეს დიდი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. კონგრესის მონაწილეთა ღირსეულად შეხვედრისათვის დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სახალხო მეურნეობის საბჭომ და მთამა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ, რათა უზრუნველყონ ვენახების სანიმუშო მდგომარეობა.

ამ უკანასკნელ წლებში მეხილეობის რაიონების ბევრმა მეურნეობამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ბაღების მოვლა, განახორციელა აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, დანერგა მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება, რითაც გაადიდა ხილის მოსავლიანობა. მაგრამ მთლიანად რესპუბლიკაში მებაღეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა დარგებს. ამაში დიდი ბრალი მიუძღვის გორის რაიონს, რომელიც რესპუბლიკაში ხილის მთელი პროდუქციის დაახლოებით 25 პროცენტს იძლევა. იმის გამო, რომ აქ მეტად შეინელეს ყურადღება ბაღების მოვლისადმი, სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის გეგმა უკანასკნელ სამ წელიწადში რაიონმა ვერ შეასრულა. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ აქედან, უნდა გაუმჯობესონ ხეხილის ბაღების მდგომარეობა და მკვეთრად გაზარდონ ხარისხოვანი ხილის წარმოება.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს რესპუბლიკაში ხეხილის ბაღების ფართობების გადიდებას 145 ათას ჰექტარამდე. ეს ანას ნიშნავს, რომ უახლოეს წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა გავაშენოთ 40 ათასი ჰექტარი ახალი ბაღები.

მთლიანად რესპუბლიკაში ხილის გაყიდვის სახელმწიფო დავალებანი უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გადამეტებით სრულდება. მაგრამ დამზადებული ხილის მნიშვნელოვანი ნაწილი სტანდარტული არ არის. ჩვენ უნდა მოგვყავდეს ბევრი ხილი და კარგი ხარისხისა.

ჩვენი მეციტრუსეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გასულ წელს მათ მიიღეს ციტრუსოვანთა ნაყოფის უმაგალითო მოსავალი — 38,7 ათასი ტონა რაც გეგმის 129 პროცენტს შეადგენს. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი წელსაც შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

შემდეგ ამხ. ჯავახიშვილი შეეხო მეთამბაქოობის განვითარებას და აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ წლებში აფხაზეთში, აჭარაში, ლაგოდეხის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში, სადაც მეთამბაქოობა ერთ-ერთი წამყვანი და შემოსავლიანი დარგია, თამბაქოს მოსავლიანობა რამდენადმე შემცირდა, მისი ხარისხი გაუარესდა.

სახელმწიფოსათვის 1961 წლის მოსავლის თამბაქოს მიყიდვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აჭარის კოლმეურნეობებმა. გეგმა შეასრულა აგრეთვე ლაგოდეხის რაიონმა. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთმა, აგრეთვე მარნეულისა და ბოლნისის რაიონებმა ვერ შეასრულეს დავალებანი, რესპუბლიკაში თამბაქოს დამზადების გეგმის შესრულება საფრთხეშია. 1962 წელს მეთამბაქოობის თვითეულმა რაიონმა და თვითეულმა კოლმეურნეობამ უნდა მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა თამბაქოს დამზადების გეგმის შესრულებასთან ერთად უზრუნველყოს ნედლეულის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებაც.

საგრძნობლად შემცირდა ყურადღება შაქრის ჭარხლის კულტურისადმი. საკმარისია აღინიშნოს, რომ შარშან რესპუბლიკის მეჭარხლეობის ვერც ერთმა რაიონმა ვერ შეასრულა შაქრის ჭარხლის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა, მიი-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

არჩევნების შესახებ

პოლიტიკური

მარტი 18 ჯერ. ... არჩევნების დღე

და შრომითი ენთუზიაზმის ახალი, უმაგალითო აზვირთებით უპასუხეს საბჭოთა ალამიანებმა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, ყველა რაიონიდან მოაქვს ფოსტას წერილები ამ გმირული შრომითი თავდადების შესახებ, რომელსაც საბჭოთა ადამიანები იჩენენ არჩევნების აღსანიშნავი საწარმოო მიღწევების მოსაპოვებლად.

აი რას გვატყობინებენ ამ წერილთა ავტორები:

□ □

თბილისის უძველესი საწარმოს — ორთოქლამაკალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა ჭალს პირველად აითვისა მთლიანლითონური ვაგონების შეკეთება და არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების პირველ თვეშივე გეგმის გადამეტებით გაგოუშვა 5 გაჯანსაღებული მთლიანლითონური ვაგონი.

ი. ბოლქვაძე.

სამტრედიის ბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში არჩევნების დღის აღსანიშნავად ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლაში დიდ წარმატებებს აღწევენ კომუნისტური შრომის ის ბრიგადები, რომლებსაც თინა ჯინჯღაა და ლილი კვერნაძე ხელმძღვანელობენ. ინდივიდუალურ შეჯიბრებში დაწინაურდნენ ა. კალაძე, ც. ბუცხრიკიძე, გ. დუდღა, თ. ტორონჯაძე, შ. კალაძე, ნ. ჩიგოგიძე და ლ. კორძაძე.

დ. ბოგვიტიძე.

ყვარელ ქალაქ ანასხურის ტრესტის მე-5 შახტის მოწინავე მნგრეველთა ბრიგადებმა, რომელთაც ა. კალაპარიანი, ნ. ჩეგია, ი. სოროდია და ა. ბამსახურდია ხელმძღვანელობენ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი უპასუხეს იმით, რომ ყოველ ცვლაში გეგმის გადამეტებით იძლევიან 45-50 ტონა ქვანახშირს.

დ. ჩაკაბერია.

ბაშის საქსოვი ფაბრიკის მქსოველთა შორის არჩევნების დღისათვის მზადებაში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ მქსოველები მ. თოფურია, ნ. ნიკიტინა, ნ. ჩიჩია და ნ. ბრიტულინა. მათ დიდი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ ფაბრიკამ ქვეყანას წელს უკვე მისცა 1000 მანეთად ღირებული ზეგეგმითი ქსოვილი.

ი. თოფურია.

ცხაკაიას კირის ჭარხნის კოლექტივი დიდი გადაჭარბებით ანაღდებს არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს. გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებულია 3.400 ტონა კირი და 300 კუბმეტრი სამენი ქვა.

ს. კუბავა.

საქართველოს პროფკავშირთა ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ!

საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა გაიხსნება

23 თებერვალს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს ს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ავამოქმედოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების რეზერვები

(გაგრძელება)

უხედავად იმისა, რომ გორის, კასპის, ცხინვალის, ქარელის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში არა ერთი ოსტატია, რომლებსაც მოპყავთ შაქრის ჭარხლის რეკორდული მოსავალი — ათასი ცენტნერი და მეტი ჰექტარზე.

შეუწყნარებელია ზოგიერთი მეურნეობისა და რაიონის ხელმძღვანელთა ტენდენცია — შეამცირონ ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესები. რათა უზრუნველყოთ ქალაქების მოსახლეობის მთელი წლის მანძილზე მომარაგება ბოსტნეულით, ყოველი ღონისძიებით უნდა გავაფართოოთ სასათბურო მეურნეობა, მტკიცედ დავიცავთ ბოსტნეულის წარმოების ასორტიმენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განაზორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი მარცვლეული კულტურების და განსაკუთრებით სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების ამოცანის შესასრულებლად, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა. ამის შედეგად ზოგიერთმა რაიონმა მნიშვნელოვნად გაადიდა მარცვლეულის წარმოება. მაგალითად, შარშან ლაგოდეხის რაიონმა მარცვლეულის წარმოება წინა წელთან შედარებით 48 ათასი ცენტნერით გაადიდა. სიმინდის საშუალო მოსავლიანობამ რაიონის კოლმეურნეობებში 28,9 ცენტნერს მიაღწია. ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე 25,7 ცენტნერი სიმინდი მიიღეს.

მახარაძის რაიონმა, მეჩაიეობის წამყვანმა რაიონმა, რომელიც რესპუბლიკაში მოყვანილი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის 20 პროცენტს იძლევა, გასულ წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მარცვლეულის მეურნეობის განვითარებაში. მარცვლეულს წარმოება რაიონში წინა წელთან შედარებით 55 ათასი ცენტნერით გადიდდა. სიმინდის მოსავლიანობა გაადიდეს ქობულეთის, გალის, ლანჩხუთისა და ზოგიერთმა სხვა რაიონმა.

მიუხედავად ამისა, შარშან რესპუბლიკამ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მოყიდვის დავალება. გეგმით გათვალისწინებული 10 მილიონი ფუთი მარცვლეულის ნაცვლად დამზადებულია 3.611 ათასი ფუთი. სიმინდის მარცვლის საშუალო მოსავლიანობამ რესპუბლიკაში შეადგინა 17,3 ცენტნერი ჰექტარზე; ხოლო კოლმეურნეობებში 15,7 ცენტნერი.

მაგრამ მარცვლეულის მოსავლიანობის შემცირება არ შეიძლება გავამართლოთ მხოლოდ ძლიერი და ხანგრძლივი გვალვით აღმოსავლეთ საქართველოში. ამის მიზეზია ნათესების ცუდი დამუშავება, მოსავლის განიავება და დაკარგვა. მაგალითად, მარნეულის რაიონის ყუარარის მერძევეობა-მეგოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ მოოკლელობის გამო დაღუპა 18 ჰექტარი ჰიბრიდული თესლი, რომელიც განკუთვნილი იყო დასათესად, ხოლო 4 ჰექტარი სათესლე სიმინდი პირუტყვმა გადაძოვა.

ცხაკაიას, ზუგდიდის, ოჩამჩირის და დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ სხვა რაიონებში მარცვლეულის წარმოების შემცირება აიხსნება უწესრიგო ყოველისა აგროტექნიკური წესების სერიოზული დარღვევებით.

შარშან მესამედზე მეტმა კოლმეურნეობებმა და ნახევარზე მეტმა საბჭოთა მეურნეობებმა შემოდგომაზე დაბალი ხარისხის თესლი დათესეს. დაბალი ხარისხის ხორბლის თესლი დათესეს მეტწილ ფართობებზე ხაშურის, კასპის, ახმეტის, ყვარლის რაიონების და სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებმა. დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს სათესლე მასალის მომზადება აგრეთვე 1962 წლის საგაზაფხულო თესვისათვის.

მიმდინარე წელს რესპუბლიკამ სახელმწიფოს უნდა მიყიდოს 11 მილიონი ფუთი მარცვალი და გარდა ამისა მოაყენოს იმდენი სიმინდი, რომ დაკმაყოფილოს მეცხოველეობის მოთხოვნილებანი. ეს დიდი ამოცანაა, მაგრამ მისი შესრულება საესებით შესაძლებელია. თუ ფართოდ, გამოიყენებთ მოწინავე რაიონებისა და კოლმეურნეობების გამოცდილებას, გადავსინჯავთ ნათესების სტრუქტურას, გავადიდებთ ისეთი ძვირფასი და უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურების ფართობებს, როგორიც სიმინდი და ბარდაა, უკეთ მოვუვლით ნათესებს, შეიძლება მივაღწიოთ მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებას ყველა რაიონში.

მომხსენებელმა მოიგონა შეკრებილთა, რომ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ზონალურ თათბირებზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მკვეთრად გააკრიტიკა მიწათმოქმედების ნათესლახიანი სისტემა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას. ზოგი რამ მიწათმოქმედების ნათესლახიანი სისტემიდან მექანიკურად იყო გადმოტანილი. ჩვენი რესპუბლიკის პირობებშიც.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები ურჩევდნენ მიწათმოქმედების ნათესლახიანი სისტემის ფართოდ დანერგვას ყველა რაიონში — დაწყებული სუბტროპიკული რაიონებიდან და დამთავრებული მთის ზონით. განურჩევლად ადგილობრივი პირობების თავისებურებებისა. მაგრამ პრაქტიკამ, ცხოვრებამ უარყო ეს სისტემა. ისი უარყოფილი გავლენა რამდენადმე ჩვენშიც იგრძნობოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ შარშან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 127,7 ათასი ჰექტარი, ანუ სახნავი სავარგულების 17,6 პროცენტი, მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს ეჭირა. ჩვენი რესპუბლიკის მცირემიწიანობის პირობებში, სადაც ბევრი სარწყავი ფართობი და დასავლეთ საქართველოს ტენით უზრუნველყოფილი სუბტროპიკული რაიონებია, შეიძლება მივიღოთ წელიწადში ორი-სამი მოსავალი, მაგრამ ეს არ კეთდება. საჭიროა წლევანდელ გაზაფხულზეკე გადასინჯოს ნათესების სტრუქტურა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველი გოჯა მიწა გამოყენებულ იქნას მაქსიმალური ინტენსივობით.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, ხუთშაბათი, 22 თებერვალი, 1962 წ.

ამავე დროს მიწათმოქმედების ნათესლახიანი სისტემის უარყოფა როდი ნიშნავს საერთოდ ფარუოფილ დამოკიდებულებას ნათესი ბალახებისადმი. ჯერ ერთი, ოინჯისა და სამყურის ნათესები საჭიროა ვიტამინებით მდიდარი თივის დაკვლისა და კომბინირებული საკვების წარმოებისათვის. მეორეც, ჩვენი რესპუბლიკის რელიეფის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთის ფერდობებზე მრავალწლიანი ბალახების თესვას ნიადაგის ჩამორეცხვისაგან დასაცავად. აგრეთვე ეროზირებული და მლაშობი მიწების გასაუმჯობესებლად. სიმინდი, შაქრის ჭარხლისა და სხვა სათოხნი კულტურების დასათესავად გამოუსადეგარი ფერდობები უნდა დავუთმოთ ბარდისა და სხვა მრავალწლიანი ბალახების ნათესებს.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკანასკნელ წლებში რამდენადმე გაუმჯობესდა მეცხოველეობის მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, მეცხოველეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დარგია.

შარშან რესპუბლიკაში პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები არც ერთი სახეობის მიხედვით არ შესრულებულა. წინა წელთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის სულადობა კიდევაც შემცირდა. საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა მნიშვნელოვნად შემცირდა გურჯაანის, საგარეჯოს, ახმეტის, ბოლნისის, გორის, სამტრედიის, ზესტაფონის, აბაშის, ხობის, გალისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის შარშან დამატებითი სიმინდეები შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ხანგრძლივი გვალვის გამო. ამასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ განაზორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეამცირა მოსალოდნელი ზარალი.

ცალკეულ მოწინავეთა მაგალითი ცხადყოფს, რომ მეცხოველეობის განვითარების საქმეში ბევრია გამოუყენებელი რეზერვები. ყველგან მოწინავე მეურნეობათა მაგალითისამებრ რომ ემუშავნათ, მეცხოველეობის განვითარების ყველა გეგმა გადაჭარბებით შესრულდებოდა.

მეცხოველეობაში ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი, რომელიც დიდად აფერხებს ჯოგის კვლავწარმოების ბაზაზე პირუტყვის სულადობის ზრდას, დედა პირუტყვის დიდი სიბერეა.

პირუტყვის სულადობის ზრდასა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას ძლიერ აფერხებს ის, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დანაშაულებრივ დამოკიდებულებას იჩენენ დედა პირუტყვის სარემონტო სულადობის გაზრდის საქმეში და სანაშენოდ ვარგის პირუტყვს აბარებენ სახორცედ. ბევრი მოზარდეული ჩაბარეს სახორცედ წალკის, თეთრი წყაროს, მარნეულის, დმანისის, ბოლნისისა და ზოგიერთმა სხვა რაიონმა.

მომდინარე წელს სახელმწიფოს უნდა მიეყიდოთ 55 ათასი ტონა ხორცი, 152 ათასი ტონა რძე, 78 მილიონი ცალი კვერცხი, 4,8 ათასი ტონა მატყლი. ეს დავალება რომ შეესრულოთ, მთლიანად უნდა გამოვიყენოთ ახსებული რეზერვები — გაზვიადებულია საკვები ბაზა, გავადიდოთ პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა, შევამციროთ სიბერწე, მოვაწყოთ პირუტყვის საინაულო სუნკვა, მინიმუმამდე დავიყვანოთ პირუტყვის სიკვდილიანობა და ფართოდ გავავრცელოთ მოწინავე მეცხოველეთა მეთოდები.

პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ იმისათვის, რომ ახალი ტექნიკით აღჭურვილ სოფლის მეურნეობა. 1961 წელს საქართველოს სატრაქტორო პარკი მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წელთან შედარებით. მომდინარე წელს მივიღებ 1.850 ტრაქტორს.

კარგი შედეგი გამოიღო იმან, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ტექნიკა კოლმეურნეობებს გადასცეს. ამაღლდა სოფლის მეურნეობის პროცესების მექანიზაციის დონე, გაუჯობესდა სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხი. მაგრამ მთელი რიგი კოლმეურნეობების თავმჯდომარენი და ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები სათანადოდ არ აფასებენ კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის გადაცემის მნიშვნელობას. ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური ექსპლოატაციის წესები ირღვევა, არ წარმოებს ტექნიკის ჯეროვანი შენახვა და შესაბამისი მოვლა-პატრონობა, სარემონტო სამუშაოებს აწარმოებენ უხარისხოდ, ღია ცის ქვეშ, ისე რომ არ იცავენ რაიმე ტექნიკური და ტექნოლოგიური პირობებს, მაშინ როცა „სოფლტექნიკის“ რაიონული სარემონტო საწარმოებნი დატვირთული არ არის.

მემანდარეობისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის მექანიზაციისათვის ჩვენს რესპუბლიკას საკმაო რაოდენობით მოეპოვება ტექნიკა. მაგრამ იმის გამო, რომ მანქანებს უმნიშვნელო დატვირთვით იყენებენ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დიდი დაგვიანებითა და უხარისხოდ სრულდება. მაშინ როცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შარშან ტრაქტორები აქვდათ, 900 ტრაქტორი მთელი სეზონის განმავლობაში უმოქმედოდ იყო უწესივრობის ჯამი. მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ტრაქტორების ერთიანი ბრიგადებით მუშაობისთვისაც კი საკმაო რაოდენობით არ ჰყავდათ მექანიზატორები.

ამას წინათ მიღებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ტექნიკის შენახვისა და მისი სწორი გამოყენებისათვის ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ გვხვდება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი დაუდეგარი დამოკიდებულების ფაქტები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი ზოგიერთ რაიონში ტექნიკის რემონტის მიმდინარეობისა და შენახვის მდგომარეობის შესახებ და დასაჯა ის პირნი, ვისაც ბრალი მიუძღვოდა ამ საქმეში უთავბოლობისა და დაუდეგრობის დაშვებაში.

კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის უკეთეს ორგანიზაციას, შეკნეული დისციპლინის ამაღლებას, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების პროგრესული წესების დანერგვას.

მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ სამეურნეო-ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესების მეოხებით რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ნაწილი ახლა რენტაბელურად მუშაობს, წლითიწლობით ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და სისტემატურად ზრდის კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებას.

კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება თვითეულ კოლმეურნეობაში ისე უნდა განვახორციელოთ, რომ მაქსიმალურად გადიდდეს არტელების შემოსავალი და ამაღლდეს კოლმეურნეთა მატერიალური უზრუნველყოფის დონე. არ უნდა შევურიგდეთ იმას, რომ რესპუბლიკის მხოლოდ 80-მა კოლმეურნეობამ შემოიღო ყოველთვიური საგარანტიო ფულადი ანაზღაურება. შრომის სუსტი დისციპლინის გამო და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების უქონლობის შედეგად ზოგიერთი რაიონის მეურნეობებში ფიტად დაბალია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონე. მაგალითად, საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებში უკანასკნელ სამ წელიწადში ვენახების ფართობი 82 ჰექტარით, ხოლო ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 38.7 ცენტნერიდან 17 ცენტნერამდე; წინა წელთან შედარებით შემცირდა სიმინდის მოსავალიც.

ხშირია შემთხვევები, როცა უხეშად ირღვევა ფულადი შემოსავლის განაწილების წესი, როცა კოლმეურნეობები წლის განმავლობაში ვერ ფარავენ საწარმოო ხარჯებს, და ამავე დროს ანაწილებენ ფულად შემოსავალს შრომადღეებზე. არის ფაქტები, როცა შრომის დამატებითი ანაზღაურება დაწესებული არ არის მექანიზატორებისათვის, აგრეთვე წარმოების ცალკეულ დარგებში „მომუშავე კოლმეურნეებისათვის. ხშირად მოსავლიანობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ხელმძღვანელი მუშაკები შრომის უფრო მაღალ დამატებით ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე კოლმეურნეები, რომლებმაც უშუალოდ მოიყვანეს ეს მოსავალი.

კოლმეურნეობები ხშირად ეწევიან არასაწარმოო ხასიათის ობიექტების მშენებლობას — აშენებენ კლუბებსა და კანტორებს, ასფალტს აგებენ გზებზე, რისთვისაც ხარჯავენ კოლმეურნეთა მორის გასანაწილებელ თანხებს, რითაც იქმნიან დამატებით ფინანსურ სიძნელეებს.

მომხსენებელმა ილაპარაკა საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და ჩაბარების გეგმების შეუსრულებლობა არ შეიძლება ახსნას მორეოდენ ბაღული წლის ამინდის ცუდი პირობებით, ეს ძირითადად საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა და სპეციალისტთა უყაირათო და უუნარო მუშაობის შედეგია.

მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში დაბალია მიწათმოქმედების კულტურა, ბევრი ღონისძიება უხარისხოდ და აგროტექნიკური ვადების უხეში დარღვევით ხორცელდება. მრავალწლიანი ნარგავები გამეჩხერებულია. საკმაო ყურადღება არ ექცევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თქვა ამხ. ჯავახიშვილმა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 1962 წელს უნდა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემდგომი ზრდა და მიჰყიდონ სახელმწიფოს უფრო მეტი ჩაი, ყურძენი, ხილი, მარცვლეული, თამბაქო, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი. რაც საჭიროა მეურეობის საჭიროებათა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ საპატიო ამოცანის შესრულების ერთ-ერთი საჭირო პირობაა მეურნეობის უნარიანი ხელმძღვანელობა და მისი სწორი დაგეგმვა. ამიტომ საკუთარი გაუმართლებელია ზოგიერთი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და რაიონის ხელმძღვანელთა ტენდენცია — შეამცირონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმები. ამავე დროს გადაჭრით უნდა ეარეყოთ სოფლის მეურნეობის არასწორი დაგეგმვის მავნე პრაქტიკა, როცა მთელი რიგი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ზოგიერთი რაიონიც კი სხვადასხვა მოტივით ამცირებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებისა და პირუტყვის სულადობას.

ამჟამად რესპუბლიკაში ირწყვება 350 ათასი ჰექტარი მიწა. მომდინარე შვიდწლედში მოირწყვება კიდევ 35 ათასი ჰექტარი. გამოყოფილია დამატებითი სახსრები სამგორის სარწყავი სისტემის მეორე რიგის სამუშაოებისა და თელეთ-კუმისის მიწების მექანიკური მორწყვისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სარწყავი მიწების ფონდი დამატებით გაიზრდება კიდევ 38 ათასი ჰექტარით. მომდინარე წელს დამთავრდება აგრეთვე ჩამის საზამთრო საძოვრების გაწყლოვანება 31 ათასი ჰექტარზე.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, თქვა დასასრულ ამხ. ჯავახიშვილმა, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადებიან ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებიდან. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს აომავლობა სადღესაო ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. ჩვენი მოვალეობაა ყოველმხრივ მოვიმზადოთ თესვისათვის, კარგად გამოვაზამთროთ პირუტყვი, დროულად დავამთავროთ საზამთრო და საგაზთბუნო სამუშაოები პლანტაციებში, ციტრუსებსა და ბაღებში. სწორედ ამით ჩაეყრება საფუძველი მომდინარე წლის სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებას.

დიდი გამოცდის წინაშე არიან პარტიული და საბჭოთა მუშაკები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის დახმარება, რომელსაც სახელმწიფო უწევს კოლმეურნეობებს, უფლებას არ გვაძლევს ვილაპარაკოთ რაიმე ჩამორჩენაზე. მევენახეობა და მეხილეობა სწრაფად უნდა ვითარდებოდეს და კიდევაც განვითარდება. ეს ყველა ჩვენგანის ღირსების საქმეა.

საქართველო საბჭოთა კავშირში წარმოებული მთელი ჩაის 97 პროცენტს იძლევა. ჩვენმა მეჩაიეებმა აიღეს სწორი კურსი — მთლიანად დაკავყოფილონ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ჩაიზე. მათ ვალდებულება იკისრეს 1965 წელს მიიღონ 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ის, რასაც მათ უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში მიაღწიეს, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს დიდი ვალდებულება ვანაღდებული იქნება. მეჩაიეობაში ტონს იძლევიან შეკრები. ფართოდ არიან ცნობილი სახელმოხვეჭილი მეჩაიეები თამარ უფფონია, ტატიანა ჩხაიძე, ლარეჯან ტაკიძე, ქსენია სარსანია, ტატიანა ტყიბაჩაია, ცაცა ჭარდავა, გული ავიძბა, მართა სტოიაკინა და სხვები.

შექრუბს მხარს უსწორებენ ახალგაზრდა მეჩაიეები. მათ შორის არის მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის ეკონომისტი ლილა მალულარია. საქმის ცოდნით, გატაცებით, მგზნებარედ ლაპარაკობდა იგი თავისი მუშაობის, მეცნიერებასთან კავშირის, ახალი გეგმების შესახებ. თათბირის მონაწილენი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ პლანტაციების დახელოვნებული ოსტატის გამარჯვებათა დიდ ციფრებს.

შარშან მისმა რგოლმა მოკრიფა 42.032 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 38.600 კილოგრამისა. თვითონ ლელამ მოსავლელად ჩაბარებულ 0,7 ჰექტარ ნაკვეთზე მოკრიფა 16.507 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ხშირად მეკითხებიან — როგორ აღწევთ ყოველწლიურად რეკორდულ მოსავალსო. ვუპასუხებ—შეუპოვარი შრომით, აგროტექნიკის წესების განუხრელად შესრულებით. ჩაის ბუჩქებს მზრუნველობით, სიყვარულით ვუვლით. დროზე ვბარავთ ნიადაგს, საჭირო რაოდენობით შეგვაქვს სასუქები, ბუჩქებს ნახევრადოვალურ ფორმას ვაძლევთ. რგოლი დიდ ყურადღებას აქცევს ფოთლის კრეფასაც. კრეფის დაწყების მომენტიდან სეზონის დამთავრებამდე უზრუნველყოფთ განუწყვეტელ კრეფას. ეს დიდმნიშვნელოვანი პირობაა კარგი ვეგეტაციისათვის.

ჩვენი კოლმეურნეობა დიდი ენთუზიაზმით უმზადებს შრომითს საჩუქრებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დახსნის დღეს, ამ დროისათვის ჩვენ მთლიანად დავამთავრებთ ყველა სასწრაფო სამუშაოს პლანტაციებში. მე ვალდებულება ვიკისრე წელს მოვკრიფო 17 ათასი კილოგრამი ფოთოლი, ხოლო რგოლისათვის მიმაგრებულ ყოველ ჰექტარ ფართობზე მივიღო 8.000 კილოგრამი.

სოფლის მშრომელს ახლა არა აქვს უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ჯარმატებით ძომზადებაა. უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ ის რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია სოფლის მეურნეობის მუშაკთა უწინარეს ყოვლისა მიწათმოქმედების ნათესლახიანი სისტემის შედეგების აღმოფხვრას, ნათესი ფართობების სტრუქტურის გადაპრით გადასინჯვას, ისეთი უხვმოსავლიანი კულტურების ფართოდ დანერგვას, როგორიც არის სიმინდი, ბარდა, შაქრის ჭარხალი. ამ საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება წალკის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა პ. შახბაზოვმა, ნორიოს მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ე. დანელიამ და სხვებმა.

ნათესი ფართობების სტრუქტურის შეცვლით, — თქვა ამხ. შახბაზოვმა, — ჩვენ ავამოქმედებთ დიდ საწარმოო რეზერვებს. წელს ბარდა ჩვენთან 200 ჰექტარს დაიკავებს, პარკოსანი კულტურები კი — 50 ჰექტარს. 60 ჰექტარს დაიუთმობთ შაქრის ჭარხალს. დიდ ფართობებს დაიკავებს „მინდვრის დედოფალი“.

დაწერილებით გაუკეთეს ანალიზი მეცხოველეობის მდგომარეობას. და ეს სავსებით გასაგებია. სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის მიყიდვის გეგმები ბევრმა მეურნეობამ ვერ შეასრულა. მეცხოველეობის მდგომარეობასა და ამ უმნიშვნელოვანეს დარგში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრის ღონისძიებებზე გაამახვილა თათბირის მონაწილეთა ყურადღება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. კუჭავამ.

არ უნდა შეეურიგდეთ იმ ფაქტს, — ამბობს იგი, — რომ 1961 წელს შემცირდა როგორც საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა, გარდა ცხვრისა, ისევე ხორცის და კვერცხის წარმოება. ჩამორჩენა წელსაც გრძელდება. იანვარში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 99 ტონით ნაკლები ხორცი, ვიდრე გასული წლის იანვარში. მარტო ახალციხის, ხაშურის, კასპის, ლაგოდეხის, სამგორის, მარნეულის, თიანეთის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულისა და ცხაკაიას რაიონებში არ შემცირებულა საშუალო წველადობა და რძის საერთო წარმოება.

შეშფოთებას იწვევს ის გარემობა, რომ საერთო ჯოგში არ დიდდება ძროხის სულადობა. ძროხების ხვედრითი წონა მხოლოდ 27 პროცენტს შეადგენს და ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე საშუალოდ მოდის სულ დიდი 8 ძროხა. ძროხის სულადობის ზრდისადმი, რაც ჯოგის კვლავწარმოების ძირითადი საშუალებაა, ასეთი დამოკიდებულება შეიძლება აიხსნას მხოლოდ შეუწყნარებელი უპასუხისმგებლობით.

უკანასკნელ 8-9 წელიწადში რძის წარმოება რესპუბლიკაში სამჯერ გაიზარდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები. ამას ის ფაქტიც მოწმობს. რომ გასულ წელს წველადობა ყველაზე მეტად სწორედ იმ რაიონებში შემცირდა, სადაც გვალვა არ ყოფილა — აღმოსავლეთში, აჭარაში, ხობის, აბაშისა და სხვა რაიონებში. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძროხის საშუალო წველადობა 17,5 პროცენტით შემცირდა და 1.616 კილოგრამი შეადგინა. ამასთან ამავე რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მწვანეულ ბალახებზე გამოცდილება, როგორც არიან სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის ეფერიბველეები ცალკა ხმალაძე და მარიან გოლოლობოვი. პირველს ჰყავდა 90 ათასი ხეროვანი, გაზარდა 87 ათასი, მეორემ კი 4 ათასი კვერცხმდებელი ქათმიდან საშუალოდ 133 ცალი კვერცხი მიიღო.

ამხ. კუჭავამ დიდი ყურადღება დაუთმო საკუთარი წარმოების საკვებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველყოფის საკითხებს. მეურნეობანი უზრუნველყოფილი რომ არ არიან საკუთარი საკვებით, ეს იწვევს მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების ზრდას. მაგალითად, ახალქალაქის რაიონის სალამოს მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობაში 1961 წელს დახარჯეს 3.500 ცენტნერი კონცენტრირებული საკვები, აქედან 2.700 ცენტნერი სხვაგან ნაყიდი. ფურაჟის ღირებულებამ პროდუქციის თვითღირებულებაში აქ შეადგინა 52,4 პროცენტი მერძევეობაში და 46 პროცენტი მეხორცეობაში. ამრიგად, ცენტნერი რძის თვითღირებულებამ მიაღწია 16,3 მანეთს ხაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.2 მანეთისა, ცენტნერი მატყლის თვითღირებულებამ — 351.1 მანეთს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 163,2 მანეთისა.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. მაგრამ არიან მეურნეობები, როგორც, მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა, სადაც 1960 წელს ცენტნერი ხორცის თვითღირებულება შეადგენდა 17,3 მანეთს — 3,3-ჯერ ნაკლებს, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში. აქ სხვა კოლმეურნეობებთან შედარებით სამჯერ იაფი უჯდებათ ცენტნერი მატყლის წარმოებაც.

იმის გამო, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უზრუნველყოფილი არ არის სიმინდის ნათესების ჯეროვანი მოვლა-დამუშავება, ამ ნათესებს სარეველები ჩაგრავს, მცენარეები ჩიავდება, ხოლო ზოგჯერ კიდევაც იღუპება. ამ მეურნეობებში იძულებულნი ხდებიან სიმინდი მწვანე საკვებად აიღონ მანამდე, სანამ ჭყინტლ და ბაზ სიმწიფეში შეეიდოდეს. ამით აიხსნება ის, რომ მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ცაგერისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში სასილოსე მასის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 36-65 ცენტნერს ვერ გადაამეტა.

ბევრი საკვები იკარგება სიმინდის ჩალის გვიან აღებისა და ღეროების ადგილ სიმაღლეზე მოჭრის გამო. წყალტუბოსა და ჩხოროწყუს რაიონების კოლმეურნეობებმა სამარცვლე სიმინდის ნათესი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 17-19 ცენტნერი ჩალა, აბაშის, ზუგდიდის, გეგეჭკორისა და სამტრედიის რაიონებში კი— 8-11 ცენტნერი. ეს კატასტროფაა, როცა ჩალის მოსავალი მარცვლის მოსავალზე ნაკლებია.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფონდში დიდი ხვედრითი წონა აქვს ბუნებრივ მდელოებსა და საძოვრებს, რომლებიც საზოგადოებრივი მეცხოველეობის, განსაკუთრებით კი მეცხვარეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ბაზაა. მაგრამ აქაც სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა არ ზრუნავს საძოვრების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებიან ახმეტის, მარნეულის, თიანეთისა და ბოლნისის რაიონები.

ბევრ რაიონში ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ შაქრის ჭარხალს, როგორც ძვირფას. საკვებ კულტურას. 1961 წელს ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა საკვებად დათესილი ჭარხლის ნაკვეთებზე ჰექტარზე მიიღეს მხოლოდ 37 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, მაშინ როცა სამრეწველო გადამუშავებისათვის გათვალისწინებული შაქრის ჭარხლის მოსავლიანობამ 191 ცენტნერი შეადგინა. უფრო მეტიც, მცხეთის, დუშეთის, წყალტუბოს, სამტრედიისა და მაიაკოვსკის რაიონების კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე მხოლოდ 3-11 ცენტნერი შეადგინა.

ამხ. კუჭავა ამბობს, რომ საჭიროა გაძლიერდეს მეცნიერთა დახმარება მეცხოველეობის მეურნეობებისადმი. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს ზოოვეტერინარიტეტთან ერთად შეიმუშავა რეკომენდაციები მეცხოველეობაში მთელ რიგ პროგრესულ ღონისძიებებზე და მათი უკეთ გავრცელებისათვ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ავამოქმედოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების რეზერვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

ყანგეს ნაცვლად 15 მანეთ და 11 კაპიკამდე შეამცირა, სიმინდისა — 11 მანეთ და 89 კაპიკიდან 5 მანეთ და 15 კაპიკამდე, რძისა 14 მანეთიდან 10 მანეთ და 90 კაპიკამდე. ეს წარმატება მოპოვებულია შრომის მაღალი ნაყოფიერების, ძირითად სამუშაოთა მექანიზაციის შედეგად. სკ-ში კიდევ ერთი ცოდნეშეზღარული ნი მხარეა ის, რომ მევენახეობის სპეციალიზებულმა საბჭოთა მეურნეობამ კარგად მოუარა პირუტყვს და მიაღწია მის მაღალპროდუქტიულობას, რომელიც ბევრ მეურნეობას შეშურდება. შარშან აკ საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 2.400 კილოგრამი რძე — 200 კილოგრამით მეტი დაავალებასთან შედარებით. ყოველ ას ძროხაზე გაზარდეს 106 ხბო, ყოველ დედაღორზე მიიღეს 17 გოჭი.

აფხაზეთის მშრომელები, — თქვა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ჩიქოვანმა,** — ემზადებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსეულად შეხვედრისათვის, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს შეჯამება პლანტაციებში, ბაღებში, ბოსტნებში, ორგანიზებულად წარმოებს ჩაის ბუჩქების მოვლა-დამუშავება. მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს წელს მოკრიფონ 26.310 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი — 550 ტონით მეტი გეგმასთან შედარებით. პარტიული ორგანიზაციები კოხერტოდ დახმარებას უწევენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, რათა აიყვანონ ისინი მოწინავეთა დონემდე. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ 1962 წელს წარმატებით შესრულდეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დარგში ნაკისრი ყველა ვალდებულება.

ამხ. ჩიქოვანმა სამართლიანი პრეტენზიები წაუყენა სახალხო მეურნეობის საბჭოსა და მის საწარმოებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობას სპეციალური ტექნიკით. მან ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა გამძლე სპეცტანსაცმლის წარმოება მეჩაიეთათვის.

გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთის კოლმეურნეობის მექანიზატორმა **გ. ცერცვაძემ** აღნიშნა, თუ წლითწლობით როგორ ზრდიან მინდვრის მოსავლიანობას არტელის ტრაქტორისტები.

აჭარაში ბევრია მოწინავე მეურნეობა, განსაკუთრებით მეჩაიეობასა და მეციტრუსეობაში. შარშან ქობულეთის რაიონის მეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 4.800 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. არის კოლმეურნეობები, სადაც ჰექტარზე მოკრიფეს 5.500-6.000 კილოგრამი ფოთოლი. ათეულ მილიონობით ცალ მანდარინს, ლიმონს, ფორთოხალს იძლევიან სპეციალიზებული მეურნეობები. ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსოვანთა ბაღების მდგომარეობა, — აღნიშნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. თხილაიშვილმა,**— და ის მზრუნველობა, რომლითაც მათ უვლიან, იმის გარანტიაა, რომ მომდინარე წელსაც კარგ მოსავალს მივიღებთ. მაგრამ მეცხოველეობა მაინც ჩამორჩენილი დარგია. მთის რაიონებში ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებია, მაშინ როცა ყველაზე არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მდიდარი რეზერვები. სკკპ XXII ყრილობის გადწყვეტილებათა საფუძველზე საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ჩამორჩენილ მეურნეობებს დაეხმარება ჩადგნენ მოწინავეთა რიგებში.

პარტია და მთავრობა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სრულყოფილი ტექნიკით. სოფლად იღებენ ახალ ტრაქტორებს, კომბაინებსა და სხვა მანქანებს. მოწინავე მექანიზატორები დიდად ზრუნავენ იმისათვის, რომ სანიმუშოდ მოემზადონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის, სრული სამძღვარით გამოიყენონ მანქანები. სატრაქტორო პარკის რემონტი რესპუბლიკაში ბევრად უკეთ წარმოებს, ვიდრე შარშან, ჯერჯერობით ზეგმარეობაში მოპყავთ სხვა მანქანებიც. მაგრამ, როგორც აღნიშნა რესპუბლიკური გაერთიანების „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ **ი. ხოხლოვმა,** მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების მომზადებაში არის ნაკლოვანებანი, რომლებიც სწრაფად უნდა აღმოიფხვრას.

ტექნიკა თავმოყრილი უნდა იყოს „საკსოფლტექნიკის“ განყოფილებებსა და სპეციალიზებულ სამანქანო-სამელიორაციო საგზურებში, სადაც არსებობს ყველი შესაძლებლობა დროული რემონტისათვის. მით უმეტეს, რომ ეს, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მაშინ, როცა რემონტს თვით მეურნეობები აწარმოებენ.

სოფლის მეურნეობის მექანიზატორები სიუხვისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის პირველ რიგებში არიან. ამ ღირსსახსოვარ დღეებში ისინი კისრულობენ სამატერო ვალდებულებს სიმინდის, სხვა სათოხნი კულტურების მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისათვის, ცენტნერი პროდუქციის წარმოების თვითღირებულების შემცირებისათვის. მათი შემოქმედებითი ინიციატივა და ენერგია, პატრიოტული წამოწყებანი ყოველმხრივი წახალისებისა და გავრცელების ღირსია. ამხ. ხოხლოვი შეეხო აგრეთვე მექანიზატორთა კადრების მომზადების საკითხებს.

უკანასკნელ წლებში სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებები მოიპოვეს მარცვლის, ხილის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში. მაგრამ მიღწეული დონე, — აღნიშნა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. გაზაევმა,** — ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას. პარტია მოგვიწოდებს მივაღწიოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის ახალ აღმავლობას. ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები პარტიის მოწოდებას უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის შეჯიბრების ახალი გაქანებით უპასუხებენ.

ლენინგორის რაიონის სოფელ ჭანჭათის კოლმეურნეობის წევრმა **მ. გოგუაძემ,** ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ს. არსენაშვილმა,** გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუბლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ვ. უტიაშვილმა** ილაპარაკეს იმ პოლიტიკურ და შრომითს ადამავლობაზე, რომელიც კოლმეურნეობებშია, საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაზე.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა **ვ. ბ. მუანანაძემ,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ამხ. ვ. ბ. მჟავანაძის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენმა თათბირმა, რომელმაც განიხილა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი საკითხები, ნაყოფიერად ჩაიარა. ახლა მთელი ძალღონით უნდა მოვკიდოთ ხელი საქმეს, მივაღწიოთ ახალ შრომითს წარმატებებს ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პარტია გვასწავლის, რომ მძლავრ მრეწველობასთან ერთად ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის ამენების სავალდებულო პირობაა. კომუნიზმს ვერ ავაშენებთ, თუ არ გვექნა კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს პროდუქტების სიუხვე ხალხისათვის.

სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა სკკპ XXII ყრილობა, როცა საქვეყნოდ განაცხადა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა.

საბჭოთა ხალხმა, ამბობდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი უკვე 1962 წელს უნდა იგრძნოს სოფლის მეურნეობაში იმ ღონისძიებათა განხორციელების რეალური ნაყოფი, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ დასახა. ეს კომუნიზმის ის მიჯნაა, რომელიც უნდა აიღოს საბჭოთა წყობილების მთელმა სიძლიერემ.

პარტიის მიერ დასახული ამ დიდი ამოცანების გადაჭრაში ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. 1962 წელს — შვიდწლედის მეოთხე წელს ჩვენმა რესპუბლიკამ უნდა აწარმოოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს: 155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 190 ათასი ტონა ყურძენი, 36 ათასი ტონა ციტრუსები, 100 ათასი ტონა ხილი, 16 ათასი ტონა თამბაქო, 1.400 ტონა დაფნის ფოთოლი, 180 ათასი ტონა მარცვლეული, 55 ათასი ტონა ხორცი, 152 ათასი ტონა რძე, 78 მილიონი ცალი კვერცხი, 4.800 ტონა მატყლი, 4.200 ტონა აბრეშუმის პარკი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანები სოფლის მეურნეობაში მიმდინარე წელს.

ჩაის კულტურა ჩვენი რესპუბლიკის სიამაყე და მისი სიმდიდრეა. ჩვენმა მეჩაიეებმა პირობა მისცეს პარტიასა და სამშობლოს, რომ 1965 წელს მოკრეფენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან 200 ათას ტონა მწვანე ოქროს შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული 170 ათასი ტონის ნაცვლად. მეჩაიეობის რაიონების მშრომელები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ ამ დიდი და საპატიო ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ გვყავს შესანიშნავი მეჩაიეები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს საქართველოს თავიანთი საბჭოთა ხელოვანი შრომითი საქმეებით. მე ვყოფილვარ ბევრ პლანტაციაში, მინახავს როგორ მუშაობენ ისინი. აი აქ გამოვიდა ლენინ მაღულარია — მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის წევრი. იგი მანქანასავით მუშაობს, მაგრამ მგონი მანქანაც კი ვერ შეედაროს მას. იგი თვალისმომჭრელი შუქურაა. ლენინ მაღულარია ვალდებულებას კისრულობს მიმდინარე წელს მოკრიფოს 17 ტონა ჩაის ფოთოლი. სხვა მეჩაიეებიც რომ კრეფდნენ თუნდაც 8-10 ტონა ფოთოლს ჰექტარზე, ჩვენ გადაჭარბებით შეავასრულებდით ყველა ვალდებულებას.

უკვე ახლა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაისი ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა, მაშასადამე, წლიური ვალდებულების შესრულების გადამწყვეტი თვეც არის. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ყველა ღონისძიება ჩაის პლანტაციების უზრუნველყოფისათვის მუშახელით და მაისში მოვკრიფოთ წლიური გეგმის სულ ცოტა 30-35 პროცენტი.

ჩვენში უკვე ტრადიციად იქცა, რომ სახელოვანი მეჩაიეები შვიდწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან ყოველთვის. ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს მეჩაიეები 1962 წელსაც ღირსეულად განაგრძობენ ამ შესანიშნავ ტრადიციას და კვლავ გვიჩვენებენ თავდადებული შრომის მაღალ მაგალითებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის, რომ ისინი კვლავ გაახარებენ სამშობლოს ახალი გამარჯვებებით.

ამხანაგებო! მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად ითვლება ამ უძველესი კულტურის ერთ-ერთ სამშობლოდ. ჩვენს ხალხს უყვარს ვაზის კულტურა და დაუფლებულია მისი მოვლა-მოყვანის ოსტატობას.

მევენახეობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში 18-20 პროცენტს აღწევს, ხოლო მთელ რიგ სხვა რაიონებში მეტსაც. მაგრამ საქართველოს მევენახეები უკანასკნელი ორი წელია ზედიზედ ვერ ასრულებენ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმებს. 1960 წელს დამზადების გეგმა შესრულდა 56,8 პროცენტით, ხოლო 1961 წელს — 94,4 პროცენტით.

თელავის რაიონში, სადაც პარტიის რაიკომის პირველ მდივნად ახალგაზრდა ნიჭიერი ორგანიზატორი ამხ. თ. ბადურაშვილი მუშაობს, დიდი მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა გასწიეს კოლმეურნეებს შორის და მთელ მოსახლეობაში და პირნათლად შეასრულეს სახელმწიფო დავალება. გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმები აგრეთვე ახმეტის, ყვარლისა და სხვა რაიონებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ყურძნის მოსავლის გადიდების ღონისძიებათა შესახებ. ეს დადგენილება მიზნად ისახავს მევენახეობის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, პარტიის რაიკომების მდივანთა, აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა პასუხისმგებლობის ამაღლებას. საჭიროა დავაწესოთ კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი.

მიღებულია სხვა დადგენილებებიც, კერძოდ იმის შესახებ, რომ აიკრძალოს ყურძნის გაყიდვა ბაზრებზე სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებამდე. ჩვენ ვიცოდით, რომ ყურძნის გაყიდვის აკრძალვა ზოგიერთს არ მოეწონებოდა, მაგრამ საჭირო გახდა ასე მოვქცეულიყავით. მიმდინარე წლიდან ჩვენ ნებას დავრთავთ თავისუფლად მიეყიდოს მოსახლეობას ყურძენი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. მაგრამ თვითეული მოვალეა იცოდეს, რომ სახელმწიფო შესყიდვის გეგმები კანონია ყველასათვის, რომ ეს გეგმები უთუოდ უნდა შესრულდეს.

ვენახების დაბალი მოსავლიანობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მათი დამუშავება. უხარისხოდ წარმოებს და დროზე არ ხორციელდება ნიადაგის გადაბარვა და კულტივაცია, ვაზის გასხლვა, მკურნალობა, მწვანე ოპერაციები. ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ვანისა და ზოგიერთ სხვა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა დაუდევრობის გამო ვენახები დაავადდა ჭრაქით, რამაც დაღუპა მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი. კარგ პატრონს ვენახი არასოდეს არ დაუავადდება ჭრაქით. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს.

შარშან ძირითადმა მევენახეობის რაიონებმა — ყვარლის, გურჯაანის, მაიაკოვსკის, საგარეჯოს, ზესტაფონის, ვანისა და ზოგიერთმა სხვა რაიონებმა ვერ უზრუნველყვეს ვენახების გაშენების გეგმების შესრულება. მთლიანად რესპუბლიკაში ვენახების გაშენების 1961 წლის გეგმა სულ 49,7 პროცენტით შესრულდა.

ზესტაფონის, ვანის, მაიაკოვსკის რაიონების ხელმძღვანელები წლების განმავლობაში გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ მეურნეობის ამ ძირითადი დარგისადმი და ამით დაღუპვამდე მიიყვანეს ვენახები. ვაზის ცუდი მოვლის შედეგად მკვეთრად შემცირდა ყურძნის მოსავლიანობა. ხოლო სიმეჩხრემ 25-40 პროცენტს მიაღწია.

ახლა ჩვენი მევენახეების გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ ვაზის მოვლის გაუმჯობესებისა და ახალი ვენახების გაშენების, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის გზით მიაღწიონ უხვ მოსავალს არა ცალკეულ ჰექტარებზე ან მცირე ნაკვეთებზე, არამედ მთელ ფართობზე.

პარტიის ახალ პროგრამაში აღნიშნულია, რომ მარცვლეულის წარმოების მძლავრი აღმავლობა მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების ბაზაა. სწორედ ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეულის მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება. მოწინავე მესიმინდეთა გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველა შესაძლებლობა გვაქვს სწრაფად აღმოვფხვრათ ჩამორჩენა მარცვლეულის მეურნეობაში.

მარცვლეულის წარმოების გადიდების მთავარი რეზერვია სიმინდი, მაგრამ ბევრ რაიონში ამ კულტურის შეუწყნარებლად დაბალ მოსავალს იღებენ. ამის დაბრალება მხოლოდ ცუდი ამინდისა და გვალვისათვის, როგორც ზოგიერთი ამხანაგი ცდილობს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. საქმე ის არის, რომ ზოგ კოლმეურნეობაში კარგად იშრომეს, ზოგში კი დროზე არ მოამზადეს ტექნიკა, მექანიზატორთა კადრები, დათესეს დაუმუშავებელ ნიადაგზე აგროტექნიკური წესების დარღვევით, ხოლო შემდეგ საკმაოდ კარგად არ უვლიდნენ ნათესებს.

მთლიანად რესპუბლიკაში შარშან მიღებულია 17 ცენტნერი სიმინდის მარცვალი ჰექტარზე. აბაშის რაიონმა ამაზე ნაკლებიც მოიყვანა — 13 ცენტნერი ჰექტარზე, მაშინ როცა ამ რაიონის მიწებზე, რომლებიც მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე მ. ორაგველიძე) გამოეყო, საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერამდე მარცვალი მიიღეს.

მარნეულის რაიონში, სადაც სიმინდის მოყვანისათვის ყველა პირობაა და მოსავალი კარგი იყო, სონამდვილეში მიღებულია მხოლოდ 17 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე. აქ მარცვალი უდავოდ გაანიავეს, დაიტაცეს.

თიანეთის რაიონში, სადაც სიმინდის მოყვანის რთული პირობებია, საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 23 ცენტნერი მარცვალი.

წელს ჩვენში 360 ათას ჰექტარზე მეტი სიმინდი დაითესება. ეს მეტად პასუხსაგები სამუშაოა და იგი მაღალ დონეზე უნდა შეავასრულოთ. ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ უნდა გავშალოთ მზადება სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად, მოვიძიოთ ჯიშიანი თესლი, შევასწავლოთ ადამიანებს მოწინავე მესიმინდეთა მეთოდები.

აქ გამოვიდა კოლმეურნე მ. გოგუაძე, რომელმაც სიმინდის კარგი მოსავალი მოიყვანა, მაგრამ დამატებითი ანაზღაურების სახით მიიღო რვაჯერ მეტი, ვიდრე გამომუშავებულ შრომადღეებზე ეკუთვნოდა. ეს კარგია, რომ მან უხვი მოსავალი მოიყვანა, მაგრამ შრომის ძირითად და დამატებით ანაზღაურებას შორის ასეთი დიდი განსხვავება არ უნდა იყოს. საერთოდ კი კოლმეურნეებმა უნდა მიიღონ ის, რასაც დაჰპირდნენ.

მეცხოველეობის მკვეთრ აღმავლობას რომ მივაღწიოთ, საჭიროა ავამოქმედოთ მთელი გამოუყენებელი რეზერვები, მთლიანად და გადაჭარბებით შეავასრულოთ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

ამისათვის საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ პირუტყვის მოვლა. ხელოვნური დათესვლის ფართოდ დანერგვის გზით მთლიანად უნდა აღმოვფხვრათ ძროხების სიბერწე. უნდა გავაუმჯობესოთ ნათესი ფართობების სტრუქტურა, რაციონალურად გამოვიყენოთ ყოველი ჰექტარი მიწა და უზრუნველყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა საკმარისი და მრავალფეროვანი საკვებით. თუ საკვები იქნა, იქნება პირუტყვიც, ხორციც, რძეც, კარაქიც. ასე განსაზღვრა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მეცხოველეობის აღმავლობის გზა.

მიწის სწორი რაციონალური გამოყენება მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების სწრაფი გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა. თუ მიწას ყირათიანად გამოვიყენებთ, თუ მუდამ ვიზრუნებთ ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისათვის, შედეგიც ჩინებული იქნება. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის წესრიგი მიწის სავარგულების გამოყენების საქმეში. ბევრ მეურნეობაში დასათესად გამოსადეგი მიწა წლების განმავლობაში დაუმუშავებელი რჩება, ჯაგნარით იფარება და ამით ხელოვნურად მცირდება. სახნავი ფართობი.

ახლა რესპუბლიკაში მიწის საკარგულებს 2.876 ათასი ჰექტარი უჭირავს. აქედან 927 ათასი ჰექტარი სახნავი მიწაა. სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 1961 წელს დაითესა 823 ათასი ჰექტარი, ხოლო მოსავალი ფაქტიურად აღებულია 778 ათას ჰექტარზე. ამრიგად, ბევრი სახნავი მიწა გამოუყენებელი დარჩა. ბევრ ადგილას კარგი მიწები ეუაოადღებოდ არის მიტოვებული და მოსახლეობა მათ საძოვრებად იყენებს, მიწების ერთი ნაწილი ჯაგნარით იფარება.

სიმინდთან ერთად მეცხოველეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ შესანიშნავ კულტურას, როგორიც ბარდაა. საჭიროა მაქსიმალურად გავადიდოთ ბარდის ნათესების ფართობი. ყვარლის, საგარეჯოს, სამგორის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, მარნეულისა და სხვა რაიონების მინდვრებში უკვე დაიწყო ბარდის თესვა. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ამ ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესვა რაც შეიძლება ადრე ვადებში და კარგად დამუშავებულ ნიადაგზე.

ბარდის თესლი, რომელიც ჩვენ გვაქვს, კარგად უნდა გამოვიყენოთ წელს გაზაფხულზე სათესლე ნაკვეთებზე თესვისათვის, რომ მიღებული თესლით ზაფხულში ვაწარმოოთ მეორედ თესვა და ასეთი გზით გავაფართოოთ შემდგომში ამ კულტურის ნათესები, რაც იმის საწინდარი იქნება, რომ უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა უხვი და მეტად ნოყიერი საკვებით.

1962 წელს საქართველოს მეცხოველეთა წინაშე დიდი ამოცანები დგას პირუტყვის სულადობის გადიდების, მისი პროდუქტიულობის ზრდის საქმეში.

შარშანდელმა ხანგრძლივმა გვალვამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მეცხოველეობას. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ეს სიძნელეები უკვე აღმოიფხვრა. წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა პირუტყვის სიკვდილიანობა. მაგრამ ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ არ იყენებენ მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის არსებულ რეზერვებს.

ამას ნათლად მოწმობს მიმდინარე წლის იანვრის შედეგებიც. პირველი თებერვლისათვის რესპუბლიკაში ერთი ძროხის საშუალო წველადობამ შეადგინა 51 კილოგრამი გასული წლის შესაბამისი პერიოდის 60 კილოგრამის ნაცვლად. საშუალო წველადობაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან თეთრი წყაროს, ზესტაფონის, ცხინვალის, ქობულეთის, თელავის, ქარელის, ბოლნისის, ბათუმისა და სხვა რაიონები.

გალის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სისტემატურად არ ამუშავებენ მთელი სახნავი ფართობის ერთ მესამედზე მეტს. მარტო 1961 წელს აქ 9,5 ათასი ჰექტარი სახნავი მიწიდან ვერ გამოიყენეს 3,4 ათასი ჰექტარი.

ასეთი დამოკიდებულება მიწების გამოყენებისადმი სრულიად შეუწყნარებელია, მე ვიტყოდი, დანაშაულია. ჩვენი აზრით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა შეამოწმოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწების გამოყენების მდგომარეობა და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი სწორი და რაციონალური მიწათსარგებლობის უზრუნველყოფისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, ანაზღაურების მეთოდების სრულყოფას და მატერიალური წახალისების პრინციპის განუხრელ განხორციელებას.

შრომის ორგანიზაციის ცუდი დაყენება და შრომითი დისციპლინის დარღვევა ხშირად იწვევს იმას, რომ სრულად არ იყენებენ მიწის სავარგულებს, ნათესები და მრავალწლიანი კულტურები მოკლებულია მოვლას, თავს იჩენს ნაკლოვანებანი მეცხოველეობის ფერმებში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საზოგადოებრივი მიწებითა და სხვა შეღავათებით სარგებლობს, სრულებით არ მონაწილეობს შრომაში და დაუმუშავებელი რჩება, ჯაგნარით იფარება და ამით ხელოვნურად მცირდება. სახნავი ფართობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზა. მაგრამ ბევრ კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისიები უხარისხოდ აწარმოებენ რევიზიას, ვერ უზრუნველყოფენ სისტემატურ კონტროლს კოლმეურნეობათა გამგეობების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი. ამით სარგებლობენ უპატიოსნო ადამიანები და ითვისებენ საკოლმეურნეო დოვლათს.

სახსრების უყაირათო ხარჯვისა და განიავების ფაქტებს ვხვდებით ისეთ მოწინავე მეურნეობებშიც, როგორიც არის წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა, სადაც თავმჯდომარეა ხიკო მამაიაშვილი. მშრომელთა კოლექტიური აზრის, კოლმეურნეთა და გამგეობის საერთო კრების როლის უგულებელყოფამ, უყაირათობამ, კონტროლის გაუწევლობამ გამოიწვია საკოლმეურნეო დოვლათის განიავება და დატაცება.

კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეთა საერთო კრების თანხმობის მიუღებლად აწარმოებდა პროდუქტების რეალიზაციას, მუშახელის დაქირავებას, გზების მოისფალტებას კერძო პირებთან ხელშეკრულებებით. ყოველივე ამას კოლმეურნეობის ბუხჰალტრის გ. მჭედლიშვილის წაყრუებით ძოძყვა 49 ათას მანეთზე მეტი საკოლმეურნეო სახსრების გაფლანგვა. დამნაშავენი მიცემული არიან პასუხისგებაში. მაგრამ კოლმეურნეებმა ანგარიში გაუწიეს ნ. მარაიაშვილის ნაყოფიერ მუშაობას წარსულში და კვლავ აირჩიეს იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ეს მისთვის სერიოზული გაფრთხილებაა. იგი მოვალეა საჭირო დასკვნები გააკეთოს და თავდადებული, უმწიკვლო მუშაობით გამოისყიდოს მის მიერ დაშვებული დიდი შეცდომები და დარღვევები. ეს ამავე დროს დიდი გაკვეთილი უნდა გახდეს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა სხვა თავმჯდომარეებისთვისაც.

კოლმეურნეობებში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა საზოგადოებრივ საწყისებზე. ამ საქმეში უნდა მოვიზიდოთ გამოცდილი და პატიოსანი მუშაკები, რომლებიც კარგად ერკვევიან სამეურნეო საქმიანობაში, მოსავლიანობის, შემოსავლის აღრიცხვისა და განაწილების საკითხებში.

პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ რომ გაუმჯობესონ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა. ამის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევა, რომელიც განიხილავს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს. პლენუმი დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს პარტიის XXII ყრილობის იმ ისტორიულ წინასწარმეტყველებათა განხორციელებაში, რომ შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმი ახალ სიტყვას იტყვის იმის შესახებ, რომ საჭიროა წარმოებისა და დამზადების ურთიერთ კავშირი, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ახალი ფორმები და მეთოდები.

ამხანაგებო! 1962 წლის მოსავლის ბედი ახლა წყდება. ყოველი დღე და საათი უნდა გამოიყენოთ იმისათვის, რომ სანიმუშოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის, შევქმნათ უხვი მოსავლის მტკიცე საფუძველი, წარმატებით დავამთავროთ პირუტყვის გამოზამთრება და უზრუნველვყოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდება.

ხალხი ამბობს, გაზაფხულის ერთი დღე მთელ წელიწადს არჩენსო. გავაჩაღოთ შემოქმედებითი შრომა ჩვენს მინდვრებსა და ფერმებში, ვენახებში, ბაღებსა და პლანტაციებში. დავრაზმოთ მთელი ძალები, რომ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე განვახორციელოთ გაზაფხულის მინდვრის სამუშაოები. აღვნიშნოთ 1962 წელი ახალი წარმატებებით სოფლის მეურნეობაში.

* * *

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი. (საქდესი).

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 22 თებერვალი, 1962 წ.

ამერიკა მეოცე ავეფუანაა, რომელმაც კოსმოსში გაგზავნა ადამიანი

საბჭოთა გამოფენა

ოსლო, 19 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა გრაფიკის ოსტატების ნაწარმოებთა გამოფენა დიდ სიამოვნებას მიანიჭებს ნორვეგიის საზოგადოებრიობას.

30-საბჭოთა გრაფიკოსი მხატვრის დაახლოებით 60 ნაწარმოებია წარმოდგენილი ამ გამოფენაზე, რომელიც „ნორვეგია-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოებამ მოაწყო ოსლოს ხელოვნების სახლის დარბაზში.

ოსლოს შემდეგ საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებები გამოფენილ იქნება ბერგენში, ტრონჰეიმსა და სტავანგერში.

აჯანყების გრძელდება

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი. (საკდესი). პორტუგალიის პროპაგანდა ტყუის, როცა ამტკიცებს, ანგოლელთა აჯახყება ჩაქრობილიაო. ანგოლაში რომ აჯახყება გრძელდება ისევე მართალია, როგორც ის, რომ კოლონიაში შემოღებულია იძულებითი შრომა. ანგოლელებმა პორტუგალიელთა ბატონობისაგან გაათავისუფლეს ტერიტორია, რომლის ფართობი 16 ათასამდე კვადრატულ მილს უდრის, წერს ფრედერიკ კუ გაზეთ „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსში“. იგი იმოწმებს კონფიდენციალურ ანგარიშს, რომელიც ვაშინგტონში ოფიციალურ ინსტანციებს წარუდგენია ორმა ამერიკელმა „აფრიკის საქმეთა სპეციალისტმა“. ამ „სპეციალისტებმა“ ამას წინათ იმოგზაურეს ანგოლის განთავისუფლებულ რაიონებში.

ორივე ამერიკელი აცხადებს, რომ არავითარი საბჭოთა ან აღმოსავლეთევროპული წარმოშობის იარაღი მათ არ უნახავთ. ხოლო ამერიკული ბომბები, რომლებიც პორტუგალიის თვითმფრინავებიდან ჩაყარეს ანგოლაში, მათ კიდევაც გადაიღეს ფოტოაპარატით. ანგოლელთა იარაღი, ხაზგასმით აღნიშნავენ ანგარიშის ავტორები, „მეტწილად შედგება გერმანული ხელის გრანატებისა და ამერიკული წარმოების პატარა ტყვიამფრქვევებისაგან“.

ბერლინი

ბერლინი, 20 თებერვალი. (საკდესი). ჩრმბეს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს შეტევა ჩრდილოეთ კატანგაში. ამ დღეებში მათ კაბალოდან — რკინიგზის დიდმნიშვნელოვან კვანძიდან განდევნეს კონგოს ეროვნული არმიის ნაწილები, იუწყება ფრანს პრესის საგენტო, რომელიც იმოწმებს კატანგელთა ოფიციალურ განცხადებებს. ელიზაბეტვილში იუწყებიან, რომ ჩრმბეს ყანდარმერიამ დაიკავა კონგოლო და მიუახლოვდა დიდ ცენტრს — ქალაქ ალბერტვილს, სადაც განლაგებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები და კონგოს არმიის ნაწილები.

როგორც საგენტოს ცნობიდან ჩანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა ელიზაბეტვილში ბენტმა სკადა უარეყო ამ ცნობების სიზწორე, მაგრამ აღიარა, რომ „ჩრდილოეთ კატანგაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტინგენტების შემცირება არ იძლევა საშუალებას სრული კონტროლი გაეწიოს ამ ვრცელ ტერიტორიას“.

კატანგიდან „ცისფერი მუზარადების“ გეგმაზომიერ გაყვანასთან ერთად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოხელეები, როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, შეუდგნენ „იუნონ მინიერის“ ელიზაბეტვილის საწარმოების გადაცემას მათი მფლობელებისათვის. ეს აქტი მორიგი დამმობაა ჩომბესადმი, რომელიც ამ პირობით დათანხმდა, რომ კატანგის „პარლამენტმა“ „რატიფიკაცია“ უყოს ჩომბე-ადოლას კატონის შეთანხმებას.

ამრიგად, კატანგიდან ჯარების გამოსაყვანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის საკმაო აღმოჩნდა ჩომბეს ლატონი დაპირება, რომ „ითანამშრომლებს“ ცენტრალურ მთავრობასთან და გააძევებს ლაქირავებულ უცხოელებს.

ვინ უწყობს ხელს კატანგელ სეპარატისტებს?

ელიზაბეტვილი, 20 თებერვალი. (საკდესი). ეროვნული ეროვნული ეროვნული